

განმარტებითი ბარათი

„სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადებისა და მიღების აუცილებლობა გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

1. „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში 2008 წელს ცვლილებების შეტანამდე დაბადების სამედიცინო ცნობის არარსებობის შემთხვევაში დაბადების რეგისტრაცია ხორციელდებოდა დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსსა და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ, აღნიშნული საკითხის განხილვა უწყებრივად დაექვემდებარა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს. ამდენად „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი უნდა მოყვანილ იქნეს შესაბამისობაში ამავე კანონის სხვა მუხლებთან.

2. „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის, თანახმად „იმ მეუღლეთა განქორწინების რეგისტრაცია, რომელთა შორის დავა არ არსებობს, ხორციელდება მეუღლეთა მიერ განქორწინების თაობაზე ერთობლივი განცხადების წარდგენის დღიდან 15 სამუშაო დღის შემდეგ, ხოლო კანონის გათვალისწინებული პირობების არსებობისას (მეუღლის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან ქმედუვნაროდ ცნობა ანდა 3 წელზე მეტი ვადით მისთვის თავისუფლების აღკვეთის მისჯა) ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინების რეგისტრაცია წარმოებს მის მიერ განქორწინების თაობაზე განცხადების წარდგენის დღიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ. თუმცა, ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინების რეგისტრაციისათვის განსხვავებული რეჟიმის დაწესების დასაბუთებული მიზეზი არ არსებობს. ამდენად, კანონის 51-ე მუხლის მე-3 პუნქტში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება.

3. „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირის გარდაცვალების შესახებ სამედიცინო დაწესებულებამ უნდა აცნობოს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს პირის გარდაცვალებიდან 5 დღის ვადაში, რაც პრაქტიკაში ქმნის

პრობლემას, რადგან ხშირ შემთხვევაში გარდაცვალების ცნობის მისაღებად ექიმებს მიმართავენ პირის გარდაცვალებიდან 5 დღიანი ვადის ამოწურვის დღეს ან ამ ვადის გასვლის შემდეგ, რაც შეუძლებელს ხდის კანონით დადგენილი ვადის დაცვით ვალდებულების შესრულებას. აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად მიზანშეწონილია ცნობების წარდგენის ვალდებულების წარმოშობის ვადა აითვალოს არა პირის გარდაცვალებიდან, არამედ სამედიცინო ცნობის გაცემიდან. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ნორმის მიზანია გარდაცვალების რეგისტრაციის საკითხის მოწესრიგება და პირის გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის ყველა გამცემის დავალდებულება მიაწოდონ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შესაბამისი ცნობები პირის გარდაცვალების რეგისტრაციის განსახორციელებლად. თუმცა, პირის გადაცვალების შესახებ ცნობის გაცემაზე უღლებამოსილ პირებზე, რომლებიც არ იმყოფებიან შრომით ურთიერთობებში კანონის 88-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებულ დაწესებულებებთან, აღნიშნულ ნორმაში პირდაპირი მითითება არ არის.

4. ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს რწმუნებულის მიერ პირის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურისთვის მიწოდების ვადა კანონით განსაზღვრული არ არის, რაც ხელს უშლის აღნიშნული ვალდებულების შესრულებას.

5. „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონი ავალდებულებს 88-ე მუხლში მითითებულ სუბიექტებს, პირის გარდაცვალების შესახებ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებისათვის შეტყობინებას, რაც გარდაცვალების შესახებ ცნობის გაცემაზე უფლებამოსილი დაწესებულების ან პირის შემთხვევაში გულისხმობს შესაბამისი სამედიცინო ცნობის წარდგენას, თუმცა კანონის მოქმედი რედაქციით ეს პირდაპირ გათვალისწინებული არ არის.

6. კანონის მოქმედი რედაქციით 88-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს პირის გარდაცვალების განცხადების ვალდებულების დაკისრებას გარდაცვალების შესახებ საბუთის გამცემი დაწესებულების ხელმძღვანელისთვის. ამ ნორმის არსებობა აზრს მოკლებულია, ვინაიდან იმ დაწესებულებებთან სრულ ჩამონათვალს, რომლებსაც ეკისრება გარდაცვალების შესახებ განცხადების ვალდებულება, ითვალისწინებს ამ პუნქტის სხვა ქვეპუნქტები.

7. 88¹ მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტში ზუსტდება იმ პირთა ჩამონათვალი, რომლებიც გარდაცვალების რეგისტრაციისათვის გარდაცვალების მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგენენ საბუთებს და სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის ნაცვლად მიეთითება უფლებამოსილი დაწესებულების ან პირის მიერ გაცემული გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობა, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ ცნობას გასცემენ არა მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებები, არამედ 88-ე მუხლში ჩამოთვლილი სხვა დაწესებულებები და პირებიც.

8. დაზუსტებას საჭიროებს 89-ე მუხლის პირველი პუნქტი, სადაც გარდაცვალების შესახებ განცხადებული უნდა იქნეს პირის გარდაცვალების ან

გარდაცვლილის აღმოჩენის მომენტიდან. ამ შემთხვევაში გაურკვეველია, თუ რა იგულისხმება გარდაცვლილის აღმოჩენაში, ამიტომ მოცემული ფორმულირება იცვლება „გარდაცვალების შესახებ შეტყობით“.

9. კანონის 90-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 91-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის ამოღებით იცვლება გარდაცვალების აქტის ჩაწერისა და გარდაცვალების მოწმობის ფორმა, სადაც აღარ იქნება დაფიქსირებული გარდაცვალების მიზეზი. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია იმ მიზეზით, რომ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შესაძლოა არ ჰქონდეს უტყუარი ინფორმაცია პირის გარდაცვალების მიზეზის შესახებ და მას არც ამის შემოწმების კომპეტენცია გააჩნია, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში სააგენტო გარდაცვალების შესახებ ინფორმაციას იღებს მხოლოდ შეტყობინების სახით, მაგ., ან გამგეობის (მერიის) რწმუნებულის ან პანსიონატის მიერ. შესაბამისად, გარდაცვალების მიზეზი მითითებული იქნება მხოლოდ სამედიცინო დაწესებულების მიერ ამავე კანონის 89¹ მუხლის მიხედვით გაცემულ შეტყობინებაში.

10. კანონის 113-ე მუხლში ცვლილების შეტანის შედეგად, დაინტერესებულ პირს ექნება შესაძლებლობა მიმართოს უფლებამოსილ ორგანოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის აღდგენის მოთხოვნით არა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის ან სამოქალაქო აქტის დაკარგული ჩანაწერის შესრულების ადგილის მიხედვით, არამედ თავისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვითაც, რაც ემსახურება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის აღდგენის პროცესის ხელშეწყობისა და მოქალაქეთათვის მომსახურების გაწევის გამარტივების მიზანს.

11. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიმართევენ 2000 წლამდე რეგისტრირებული სამოქალაქო აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით. თუმცა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლი ზღუდავს აღნიშნული კანონის ამოქმედებამდე გამოცემული ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობას, რაც თითქმის შეუძლებელს ხდის „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 116-ე მუხლის გამოყენებას.

12. დღეისათვის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ზოგიერთი ტერიტორიული სამსახური გასცემს მხოლოდ მასთან დაცულ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განმეორებით მოწმობებს. თუმცა, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ნებისმიერ ორგანოს, რომელსაც აქვს წვდომა სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზასთან, რეალურად შეუძლია გასცეს სხვა ტერიტორიული სამსახურის მიერ რეგისტრირებული სამოქალაქო აქტის განმეორებითი მოწმობა.

13. უკანასკნელ პერიოდში გარდაცვალების რეგისტრაციის საკითხი მნიშვნელოვნად მოწესრიგდა. მიუხედავად ამისა, თავისი საქმიანობის განხორციელების პროცესში სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთვის ცნობილი ხდება მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული პირების გარდაცვალების შესახებ, მაგრამ ამ პირების გარდაცვალების რეგისტრაციისათვის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს არავენ მიმართავს და არც აუცილებელი საბუთები

მოიპოვება საამისოდ. აღენად, არსებობს შემთხვევები, როდესაც ფაქტობრივად გარდაცვლილი ადამიანები, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულნი არიან, როგორც ცოცხალი პირები. შესაბამისად საჭიროა გარდაცვალების რეგისტრაციის მექანიზმების დახვეწა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონით გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის გაცემის უფლებამოსილების მქონე პირებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობის პირებზე – გამგეობის (მერიის) რწმუნებულებზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის თავიდან აცილება და გარდაცვალების რეგისტრაციის მექანიზმების სრულყოფა, რაც მინიმუმამდე დაიყვანს დაურეგისტრირებელ გარდაცვალების შემთხვევებს. პროექტის მიზანია აგრეთვე მომხმარებელთა მომსახურების გამარტივების უზრუნველსაყოფად ტერიტორიულმა სამსახურებმა გასცენ არა მხოლოდ მათთან დაცული სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მოწმობები, არამედ სხვა ტერიტორიულ სამსახურებში არსებული სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მოწმობებიც.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

1. წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, ბავშვის მიერ ერთი წლის ასაკის მიღწევის შემდეგ დაბადების რეგისტრაცია დაბადების შესახებ სამედიცინო საბუთის არარსებობის შემთხვევაში განხორციელდება დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ან სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს უფლებამოსილი ტერიტორიული სამსახურის ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე.

2. კანონპროექტის თანახმად, ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინების რეგისტრაცია, მეუღლეთა ერთობლივი განცხადებით განქორწინების რეგისტრაციის მსგავსად, შესაძლებელი იქნება განცხადების წარდგენიდან 15-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ.

3. წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის გამცემ სამედიცინო დაწესებულებებსა და ფიზიკურ პირებზე 88-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას ცნობის გაცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

4. კანონპროექტით დგინდება გამგეობის (მერიის) რწმუნებულის მიერ პირის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურისთვის მიწოდების ვადა.

5. კანონში პირდაპირ იქნება განსაზღვრული, თუ რას გულისხმობს გარდაცვალების სამედიცინო ცნობის გაცემაზე უფლებამოსილი პირების მიერ შეტყობინება პირის გარდაცვალების შესახებ.

6. 88¹ მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტში ზუსტდება იმ პირთა ჩამონათვალი, რომლებიც გარდაცვალების რეგისტრაციისათვის გარდაცვალების მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგენენ საბუთებს.

7. 89-ე მუხლის პირველ პუნქტში „გარდაცვალების აღმოჩენის მომენტი“ იცვლება „გარდაცვალების შესახებ შეტყობით“.

8. კანონის 90-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 91-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის ამოღებით იცვლება გარდაცვალების აქტის ჩაწერისა და გარდაცვალების მოწმობის ფორმა, სადაც აღარ იქნება დაფიქსირებული გარდაცვალების მიზეზი.

9. 113-ე მუხლში ცვლილებების შეტანით ფართოვდება სამოქალაქო აქტის ჩანაწერის აღდგენაზე უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრის კრიტერიუმები.

10. 116-ე მუხლში ცვლილების შეტანით შესაძლებელი გახდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედებამდე (2000 წლამდე) კანონის მოთხოვნათა დარღვევით შედგენილი სამოქალაქო აქტების ბათილად ცნობა.

11. 122-ე მუხლში ცვლილების შეტანის შედეგად სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს (გარდა ქორწინების სახლებისა) და იმ საკონსულტო დაწესებულებებს, რომელთაც აქვთ წვდომა სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზასთან, შესაძლებლობა ექნებათ გასცენ სხვა ტერიტორიული სამსახურის მიერ რეგისტრირებული სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის განმეორებითი მოწმობა.

12. კანონპროექტით დგინდება დროებითი წესი, რომლის თანახმადაც გარდაცვალების რეგისტრაცია განხორციელდება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შესაბამისი სამსახურების მიერ შედგენილი ოქმის საფუძველზე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.დ) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ დგინდება რაიმე სახის გადასახადი ან მოსაკრებელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ამ ქვეკუთხით გათვალისწინებულ ორგანიზაციებს/დაწესებულებებს, ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები - ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე, ზვიად კუკავა და ჩიორა თაქთაქიშვილი.

